ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42. 422408910**

თარიღი:**29/03/2024**

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დავით კლდიაშვილის ქუჩა N23-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.12.318) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2024 წლის 25 მარტის, N ბ42.422408513 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე" და ,,ე.ე" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დავით კლდიაშვილის ქუჩა N23-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.12.318) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2024 წლის 25 მარტის, N ბ42.422408513 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,**მუხლი 3.** განისაზღვროს საპრივატიზებო უძრავი ქონების უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი: 2024 წლის 01 აპრილის 15:00 საათიდან, 2024 წლის 15 აპრილის 15:00 საათამდე".

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი